საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №62

ქ. ბათუმი 07 ივლისი, 2017 წ.

2017 წლისათვის სახელმწიფოს პროგრამული დაფინანსების მოპოვების მიზნით ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების (სპეციალობებისა) და შესაბამისი ადგილების განსაზღვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სახელმწიფოს პროგრამული დაფინანსების გამოყოფის შემთხვევაში მისი მოპოვების მიზნით ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების (სპეციალობების) და შესაბამისი ადგილების განსაზღვრისათვის გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ბაკალავრიატის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალობებზე 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტების სწავლის უზრუნველსაყოფად ბსუ-სთვის პროგრამული დაფინანსების გამოყოფის შემთხვევაში, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, ბსუ-ს რექტორის მიერ განისაზღვროს ის საგანმანათლებლო პროგრამები/სპეციალობები (ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგია, ისტორია, ქართული ფილოლოგია, აგრონომია, მშენებლობა, ეკონომიკა და დაწყებითი განათლება), რომელზეც სწავლა გასულ სასწავლო წელს დაფინანსდა სახელმწიფო მიერ, თუკი საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ იქნება გათვალიწინებული;

1.2. ამ დადგენილების მიზნებისათვის, დასაფინანსებლად შერჩეული ბსუ-ს ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები (დასაფინანსებელი) ადგილების რაოდენობა განისაზღვროს ბსუ-ს რექტორის მიერ და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს/ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

2. წინამდებარე დადგენილების აღსრულების მიზნით, ბსუ-ს რექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოიცეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი ან/და გაგზავნილი იქნეს კორესპონდენცია.

3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**